

ვუძღვნი ჩემი მეუღლის  
ზაურ ყრუაშვილის ხსოვნას

**To the memory of my husband Zaur Kruashvili  
who introduced me to the enchantment of Theory of Big  
Systems and Theory of Information as the key to  
understanding authentic literature**

**For my students who inspired me**

LALI JOKHADZE

LITERARY TEXT AS A STYLISTIC-  
CONCEPTUAL SYSTEM

Tbilisi 2008

ლალი ჯონაძე

მხატვრული ტექსტი როგორც  
სტილისტურ-კონცეპტუალური სისტემა

თბილისი 2008

წარმოდგენილი ნაშრომი ემყარება პროფესორ ი.რ. გაღპერინის მიერ შემუშავებულ თეორიულ საფუძვლებს, რომელიც ასევე მისი მრავალრიცხოვანი ასპირანტების მიერ წარარებული მეცნიერული კვლევების ერთობლივი შედეგია და, რომელიც მისივე ცნობილ მონოგრაფიებში გვაქვს შემონახული. ამასთანავე, ავტორი განსაკუთრებულ მადლობას უცხადებს ი. ჯავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ გურამ ლებანიძეს იმ დირექტული დახმარებისათვის და შენიშვნებისათვის, რომელიც მან შემოგეთავაზა ნაშრომის რეკონსტრუქციის და რედაქტირება დროს.

**რედაქტორი: პროფ. გ. ლებანიძე**

ISBN 978-99940-974-6-3

© ლალი ჯოხაძე, 2008

© გამომცემლობა „ზირონი“, 2008



## ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა.....	6
შესავალი .....	9

### ნაწილი I.

#### სიტყვის სემანტიკა და მისი როლი მხატვრული ტექსტის ინფორმატიულობის დადგენაში

თავი 1.1	წარმოდგენილი ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები .....	15
თავი 1.2	ტექსტი როგორც სემანტიკურ-სტილისტური კვლევის ობიექტი (უ. შექხაძე, ჯ. ვოდსკოვსკი).....	35
თავი 1.3.	სიტყვის კონკრეტად წამოყალიბება: ინფორმაციის წარმოქმნისა და ორგანიზების კოგნიტიური პრინციპები (უ. ფოლკენერი).....	57
თავი 1.4	სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობათა ერთდროული რეალიზაცია როგორც დინამიკური პროცესი და მისი სტრატეგიკალიზაცია – ფაზური მოდელი. (სემ) .....	71
თავი 1.5	სიტყვის ინფორმაციულობის ენტროპიული მსკენებელი (ჯ.კ. ბაირონის ნაწარმოებების მსხვედრით) .....	86

## ნაწილი II

### მხატვრული ტექსტის სტილისტურ – კონცეპტუალური სისტემის წარმოქმნა

თავი 2.1	მხატვრული ხათაურის რელი ექსციის სტილისტურ – კონცეპტუალური სისტემის წარმოსაქმნელად (ჯ.გ.ბაირონის „კაენის მისტერია“, ე.ა. პოს „აშარების სახლის ნგრევა“) .....	96
თავი 2.2	ს მუცნიერო - ტექნიკური ტერმინები სტილისტურ-კონცეპტუალურ ტექსტად ქმნადობაში. (თომას პინსონის „მიზიდულობის ციხარტეველა“) .....	130
თავი 2.3	უცხოური ენები კონცეპტუალური სწავლების პორცესში (შოთა რუსთაველი, გ. ტაბიძე, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ .....	142
თავი 2.4	უცხოური სიტყვა-კონცეპტები და ინტერკულტურული კომუნიკაცია (ჯონ კენედის საინოვურაციო სიტყვა „მოქცევა ქართლისაი“ – წმ. ნინოს შემოსვლა) .....	169
Summary	.....	196
Appendix	A. Procedures of translating hagiographic texts	

("The Life of Ketevan the Martyr", by Gr.  
Dodorkeli-Vakhsakhishvili.)

B. Concept Words in translating hymnographic  
texts ("Canon of Repentance" by David the  
Builder, King of Georgia, XII century) ..... 238

## წინათქმა

წინამდებარე მონოგრაფია ეძღვნება ტექსტის თანამედროვე ფილოლოგიური თეორიის ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორცაა სიტყვის მიმართება მხატვრული ტექსტის სტილისტურ-კონცეპტუალურ განხილვებასთან. სხენებელი პრობლემა დანახული და გაანალიზებულია ისეთი ნაკლებად შესწავლილი ფენომენის საფუძველზე, როგორცაა სიტყვის სემანტიკური უსახდვროება. საუბარია სიტყვის ინფორმაციული პოტენციალის გამოვლენასა და მის მახიფესტაციასზე მხატვრულ ტექსტში. იგულისხმება სიტყვის სისტემური და ფუნქციური თავისებურებების წარმოჩენა მხატვრული ტექსტის სტრუქტურული ორგანიზებისას. ტექსტის სტილისტურ-კონცეპტუალური საფუძვლის დახადგენად გაანალიზებულია სამეცნიერო ლინგვისტური ლიტერატურა, რაც განსახდვრავს სიტყვის თანამედროვე კომპიუტაციურ გამოყენებას. ანუ განხილულია სიტყვის ტექნიკური სემანტიკა, კვლევის ობიექტის პრედიკატად მთავრდება სემანტიკური უსახდვროება, რომელიც იმპლიციტურად და ამავე დროს უწყვეტად მოქმედებს მთელი მონოგრაფიის აზრობრივ სივრცეში. ასევე უსახდვროა ამ სივრცის მეცნიერულ-დისციპლინარული განხილვება, რომელიც მოიცავს კემანიტარული კვლევის ოთქმის მთელ შესაძლო სექტორს (პრაგმატიკიდან თარგმანის თეორიამდე). ასევე არ არის შესვლული ის ისტორიული დროც, რომლის ფარგლებშიც მთავრდება ტექსტობრვი ემპირია.

თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძვლად წარმოდგენილია ტექსტები ქართული პიზნოგრაფიიდან თანამედროვე მწერლობამდე. დაკით აღმაშენებლიდან გალაქტიონამდე, ინგლისური ლიტერატურის გამოსწავლი კლასიკოსები უილიამ შექსპირიდან ჯორჯ ბაირონამდე, თანამედროვე ამერიკელი კლასიკოსების სათვლით: უილიამ ფოლკნერი და თომას პინჩონი.

კვლეა ამ შემთხვევაში იკვლევა სიტყვა მის სემანტიკურ უსახდვროებაში, ეს უსახდვროება კი განიხილება კონცეპტუალური, კოგნიტიური, ტექსტოლოგიური, პრაგმატიკული, სტილისტური და თარგმანმოქმედებითი თვალსაზრისიდან.

ამ თვალსაზრისითა ერთობლიობაზე დაყრდნობით წარმოდგენილია სიტყვის სემანტიკური უსახვეროების სრულად ახალი პირამიდული მთელი. ყ. ბაირონის ნაწარმოებების მიხედვით დათვლილი და წარმოდგენილია ავტორის სტილისთვის დამახასიათებელი სიტყვა-ფაქტორიტების love - like სტატისტიკური მიზანმიმართული კონსტრუქციული სახით.

წარმოდგენილი სამუშაო დასწერა ინგლისურად წაკითხული ლექციების ციკლის საფუძველზე (ინგლისური ენის სტილისტიკა, თარგმანი და სტილისტიკა, თარგმანის დინამიკა, ტექსტის ინტერპრეტაცია, XX საუკუნის ამერიკული მხატვრული ლიტერატურის „ახალი კრიტიკა“), რომელთაც ავტორი კითხულობდა ბილი წლებში თვ. ვაგნაშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო და ბაკალავრიატის დამამთავრებელ კურსებზე, ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დამამთავრებელ, სამაგისტრო და დოქტორანტურის კურსებზე, ბათუმის უცხოურ ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ბაკალავრიატის დამამთავრებელ და სამაგისტრო კურსებზე.

ეურადღების ცენტრში დგას ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ტექსტის ინტერპრეტაციისა და თარგმანთმცოდნეობის თეორიასთან. ბუნებრივია გვერდს ვერ ავიწყოთ ისეთ საკითხებს, რომლებიც მთლიან არა მარტო თარგმანის კომპეტენციას, როგორც ახეთს, არამედ ენათმეცნიერების სოციალ და კერძო თეორიის პრობლემებსაც, უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება სემანტიკის საკითხებს, ვინაიდან შემოთავაზებული მეთოდების კვლევისათვის საჭირო და აქტუალურად პირობაა სემანტიკის შესაბამისი თეორიის მოშველიება. აქედან გამომდინარე კვლევის სოციალ მეთოდოლოგიად მიღებულია ინტერდისციპლინარობა, როგორც თანამედროვე სემანტიკურული აზროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარადიგმული ტენდენცია.

ენათმეცნიერება, რომელიც შეისწავლის ენის ერთეულებისა და სხვადასხვა ფორმათა ფუნქციონირებას, ნაკლებად ამახვილებს ყურადღებას ენის სისტემისათვის დამახასიათებელ ისეთ არსებით თვისებებზე, როგორიცაა ენის ერთეულის სემანტიკური უსახვეროება, სიტყვა-კონსტრუქციის სხვადასხვა მნიშვნელობათა აღბათური შერწყვა-კომბინირება და პროგნოზირება, სიტყვის ინფორმატიულობის ხარისხის

ცვალებადობა, აღრესატიის (მკითხველის) ადაპტაცია სიტუაციასთან და მთლიან ტექსტთან.

გასული საუკუნის ბოლო დეკადა აღინიშნება ლინგვისტური აზროვნების მკვეთრი შემობრუნებით კოგნიტიური მეცნიერებისაკენ. ლინგვისტური აზროვნების კვლევები შესაძლებელს ხდის შემეცნებადი გახადოს მწველადგასაგები მხატვრული ტექსტი არტიანადში, რათა მთახდინოს შემდეგში მისი რეალიზება თარგმანში. შესაბამისად, თარგმანი წარმოდგენლია როგორც ტექსტის ინტერპრეტაცია, რაც გულისხმობს ფილოლოგიურ სიდრმისეულ ანალიზს, რომელიც სირთულეების გარდა სახადისო გამოწვევაცაა მთარგმნელ-ინტერპრეტატორისთვის.

რედაქტორი პროფ. გ. ლებანიძე

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ლინგვისტურ კვლევათა დიდი ნაწილი დღეს კოგნიტიური ხასიათისაა, ანუ მეტნაკლებად დაკავშირებულია კოგნიტივისმთან. ბუნებრივია ლინგვისტთა ძალისხმევა მიმართულია, რათა “დიდი ლინგვისტიკა” მიმართონ კოგნიტიური მეცნიერებისკენ. მეორე მხრივ, ლინგვისტიკის გარეთ მიღებული რაც შეიძლება მეტი ცნობა, მიუსადაგონ ენათმეცნიერებას და ასევე უფრო მასშტაბური ხედვის უპირატესობა წმინდა ენობრივი ფორმების ინტერპრეტაციისთვის. ეს კი მოითხოვს სხვადასხვა კოგნიტიური კონცეპტების აღქმას, ექსპლიკაციას, კატეგორიზაციას და ა.შ. ლინგვისტური აზროვნების ახალი კურსი ასოცირდება ისეთ მეცნიერთა სახელებთან როგორც ვა ნ. ხომსკი, რ. იაკობსონი, რ. ლენგეკერი, ჯ. ლაფერი, გ. ლაკოფი, ი. ნაიად, უ. ნეისერი, ე. კუბრიაკოვა (იხილეთ ბიბლიოგრაფია). წინა პლანზე გადმოდის ენობრივი ერთეულის შესწავლა სხვადასხვა კულტურათა შეპირისპირების ფონზე შემეცნებითი მეთოდებით.

ახლებურად განემარტაეთ ენის ერთ-ერთ ფუნდამენტურ კატეგორიას, ვერბალურ ნიშანს-სიტყვას. სვენს მიერ არჩეული პრობლემა ინტერდისციპლინარულ ხასიათს ატარებს. სიტყვის ინფორმატული პოტენციალის სიღრმისეული შესწავლა გვთავაზობს ტექსტის წარმოქმნისა და სტრუქტურული ორგანიზების ისეთ ძირითად პრინციპს, როგორც ვა თვითრეგულირებადი მართვის პრინციპი, როდესაც სიტყვის ინფორმატული პოტენციალი მოიცავს ტექსტის, როგორც ერთი მოვლის კონდენსირებულად შეკუმშულ კოდს - კოგნიტიურ კონცეპტს.

შესაბამისად კვლევის ობიექტს წარმოადგენს *სიტყვა*, თავისი სემანტიკური უსახლეროებით, როგორც ლინგვისტური ფუნდამენტი, რომელიც ითვლება ენის სისტემის ძირითად ერთეულად. საქმე ეხება სიტყვის ინფორმატული პოტენციალის გამოვლენას. ანუ მისი სამეტყველო რეალიზაციის ილუსტრირებას მხატვრულ ნაწარმოებში (როგორც სინამდვილის ტექსტად აღქმადობის უროულეს პროცესში), ასევე მისი სისტე-

მერი და ფუნქციური თავისებურებების წარმოსახვას ტექსტის სტრუქტურული ორგანიზებისას.

ამისხავალი დებულება იქნება სიტყვის მრავალმნიშვნელობა, როგორც ტექსტის სემანტიკური კატეგორია და ძირითადი მახასიათებელი. სიტყვის მრავალმნიშვნელობა როგორც დექსიკის სფეროში, ისე გრამატიკის სფეროში ეხის აუცილებელი თვისებაა, რომელიც განაპირობებს მის არა მარტო მატერიალურ ორგანიზებას, არამედ წარმოადგენს ბიოლოგიურ საფუძველს ადამიანის აზროვნებისთვის.

ენაში კოდისემიის აუცილებლობა გამოწვეულია ეხის ეკონომიის პრინციპით და სეკულებრივ მიაჩნშნებს ანტი-ნომიაზე განსახლებრელობა/განუხახლებრელობა, ანუ ერთი მხრივ, შინაარსობრივ-შემეცნებითი უხახლებრეობა და, მეორე მხრივ, ეხის ერთეულის შეხლებრელობა, რის შედეგადაც ერთი და იგივე ბგერითი კომპლექსი, რომელსაც გარკვეული გავრცობილი სემანტიკური სტრუქტურა გააჩნია, შეიძლება იყოს მრავალფუნქციური, იგულისხმება, რომ ყოველი ენობრივი განსახლებრელობა წარმოადგენს ტექსტს, როგორც კომუნიკაციის გამოხატულების საშუალება. პარადიგურად ეიკვლეუო ხაკიოხის სიტყვის სხედასხევა (ხოგჯერ კონტრასტულ) მნიშვნელობათა ერთდროული, ძარმონიული თანაარხეობის შესახებ, რომელსაც მოძრაობაში მოცევის ეხის ინფორმატულ საშუალებათა მიეღი ხისტემა, როგორც პარადიგმატულ, ასევე ხინტემატურ პლანში. ამასთანავე, სიტყვის მნიშვნელობათა ერთდროული ერთიერთქმელება განხილდება არა მარტო როგორც დინგვო-სტილისტური ანალიზის პროცესი, არამედ როგორც შემოქმედებითი პროცესის ნაწილი, რომელიც თავის მხრივ ეხმაურება სელაონური ინტელექტის წარმოშობის ხაკიოხსაც.

სიტყვის ერთდროული მრავალმნიშვნელობის რეალიზაცია მხატვრულ ტექსტში განხილდება, როგორც ინფორმატული განუხახლებრელობა ტექსტში, რომელიც ქმნის როულ სემანტიკურ სიტუაციას და ობიექტურობის ფარგლებში გვთავაზობს ტექსტის მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას. შესაბამისად სიტყვის ეხიურტიკურ-შემეცნებითი ფუნქციის წელთა გეაქდევის საშუალებას, წამოეყენოთ ძიძოთუხა სამეცნიერლო-მენტალურ პროცესებზე, რომლის დროსაც მიმდინარეობს სიტყვის მნიშვნელობათა აღბათური შერნევა და კომბინირება, წარმოქმნილი დინამიკა განაპირობებს



მხატვრული ტექსტის კონცეპტუალური ორგანიზების ღირებუნიტურ საფუძველს. სიტყვის ინფორმატიულობა წარმოადგენილია მხატვრული ტექსტის წარმოქმნელ და თვითმართვანიზედ ძალად, რომელიც ღრმადაა ფუნქციონირებული სიტყვაში და რომლის აქტუალისაცია მიმდინარეობს ტექსტის სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიების ინტეგრაციული ზემოქმედებით.

სიტყვის მნიშვნელობათა სინქრონული რეალიზაციის პროცესი წარმოქმნის მოვლი ტექსტის სემანტიკურ ნაკადთა ერთდროულ ნაჯერობას, ანუ კონცეპტს, რომელიც უნდა მეტყველებდეს და წარმოადგენდეს ტექსტს. ტექსტი როგორც კომუნიკაციის მცდელობა იმპრავებს, როგორც მეტყველი, საკუთარი საზრისის მქონე სიტყვა. სიტყვის უნარი, მოიცვას ტექსტის ყველა ასრობრივი დეტალი და შექმნას სემანტიკურ-სტილისტურ მნიშვნელობათა ძარმხიული თანაარსებობის სისტემა, განიხილება როგორც მხატვრული ტექსტის სემანტიკურ კატეგორია, რომელიც უსრულებულია ინფორმაციის ასრობრივ-კონცეპტუალურ განლაგებას.

კვლევა, რომელიც ეყრდნობა ზემოთხანმოვლილ დებულებებს, საინტერესო შედეგებს გვთავაზობს ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, საშუალებას გვაძლევს დამატებითი ცნობები მივიღოთ სიტყვის ფუნქციურად აღეკვებური ეფექტურობის შესახებ ენის კომუნიკაციის პირობებში და, მეორე მხრივ, გვთავაზობს ინფორმაციას ტექსტის ელემენტების, როგორც მოვლის ორგანული ნაწილების შესახებ. წარმოქმნება სტრუქტურულად ორგანიზებული კონცეპტუალური მოვლი მხატვრული ტექსტის სახით.

ამასთან დაკავშირებით, ვიკვლევთ რა სიტყვას მხატვრულ ტექსტში, ბუნებრივია, შეეცხებით არა მარტო სიტყვის სემანტიკურ მახასიათებლებს, არამედ ტექსტს და მის კატეგორიებს, მის შემადგენელ კონსტიტუენტებს (ერთეულებს). ტექსტი, როგორც ღირებუნიტური მეცნიერების საგანი, მთითხოვს აღნიშნული მეცნიერებებიდან ძირითადი ცნებების, დებულებების მოშეყლიებას და გამოყენებას, რაც თანამედროვე ეტაპზე ემყარება სტრუქტურულ დონეებს; მხოლოდ ამ ცნებათა მოშეყლიებით შეიძლება სწორად გამოიხახოს ენის ისეთი არსებითი თვისება, როგორიცაა ერთეულებად დანაწერალობა და ამ ერთეულების დისკრეტულობა, აქედან გამომდ-

ნარე. იბადება კითხვა, მიეკუთვნება თუ არა ტექსტი ენობრივ დონეს.

ამ კითხვას სხვადასხვა თვალსაწიერდნს შეიძლება გაეცნოს ასეუხი: ენისა და მეცნიერების დიქციონარის თვალსაზრით, როდესაც ენა განიხილება სტრუქტურაში და დინამიკაში. პარადიგმატულ და სინტაგმატურ პლანში, როდესაც ტექსტი არ წარმოადგენს ენობრივ დონეს, მეორე მხრივ, ტექსტის სოგიერთი პარამეტრები გაიძლევის საშუალებას, სტრუქტურის ექსტრაპოლაცია მოხერხდეს პარადიგმატულ დონედას სინტაგმატურ დონეზე. ასეთი პარამეტრებია: ერთეულ-კონსტიტუენტების გამოყოფა, ტექსტის კატეგორიების დადგენა, სემანტიკური ასპექტი, რომლის გარეშე ექსტრუქციით დონის ანალიზი ექრ ხერხდება. შესაბამისად, ტექსტი შეიძლება ნათვალის ერთ-ერთ დონედ, მხოლოდ ენის კი არა, მეცნიერების დონედ; თუმცა ეს უკანასკნელიც სინტეზური ხასიათისაა, ენისაგან ყოველი ტექსტი, სინტეზურიც კი, ენის სინტეზის ექსტრეზილება.

ენობრივია, რომ ენობრივნიერება არის მეცნიერება ენის ერთეულებსა და ფორმათა ფუნქციონირების შესასებ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი ენის სინტეზისთვის დამახასიათებელი ისეთი არსებითი თვისება, როგორცაა ენის ერთეულის განქალაქდერეულობა და სინტეზური ფაქტების აღბათობა: განსაკუთრებით, როცა ეს ფაქტები განიხილება მათი ფუნქციონირების პროცესში. თუთი ტექსტი იმდენად საკმაოდ როელი და მრავალხასია სიდიდეა, რომ ხაქირთა მისი კვლევის დროს გაეთვალისწინოთ როგორც განქალაქდერეულობა, "ფარული ტრანსცენდენტები" (fuzziness, ambiguity), ასევე სტოქასტიკა და მისი ერთეულების სინტეზური, თრელოგიური და ფუნქციური თვისებები. ს. ხომსკის მიხედვით დეტერმინიზმმა დიდხანს შეაყოვნა დინგეისტიკის წინხელა. ეს განსაკუთრებით ნათელი გახდა მანის, როდესაც ხაქმე ტექსტს ესებოდა, რომელიც ერთდროულად სახდერეულიცაა (დეტერმინირებული) და განქალაქდერეულიც.

ტექსტის ასეთმა თრბუნოვნებამ წარმოქმნა აუცილებლობა, გაავიანალიზებინა ტექსტის თრგანიზების სოგიერთი კანონ-სომიერება. გახნდა ტექსტების დაყოფის სხვადასხვა პრინციპი: პრედიკატული და რელატიური, თუმცა და რემა, კომპლხა და ინტერპრაცია, ი.რ. გადპერინის მიერ შემოთავაზებულ გრამატიკულ კატეგორიათა სინტეზაში, ერთ-ერთ კატეგორიად

ტექსტის დანაწევრადობა გამოიყოფა, როგორც გარკვეული შინაარსის მატარებელი კომპოზიციური მხარე. ამასთანავე, საჭირო გახდა, მოგვეძია ის აქტიური ძალა, რომელიც დიფუზიურ, ტრანსცედენტურ ტექსტს მოწესრიგებულ, ორგანიზებულ მიუღოდ წარმოგიდგენდა. ასეთ ძალას ბევრი მეცნიერი სტილისტიკაში ხედავს და პირდაპირ ახახელებს "Stylistic forces in the Narrative", ან კიდევ სტილისტიკას სამეტყველო ქმედების საშენ მასალად - ცემენტად მიიჩნევს და ყოველი სამეტყველო ნაწარმოების ანალიზი სტილისტიკამდე დაიქაფს. სტილისტიკა ერთგვარი წინამოსამზადებელი სფეროა ტექსტის ლინგვისტიკისთვის, განსაკუთრებით, როდესაც საკითხი ეხება ენის სხვადასხვა ფუნქციურ სტილს.

ენის ერთეულებისა და ფორმების ფუნქციონირების საკითხი მჭიდრო კავშირშია აგრეთვე ისეთ მომიჯნავე მეცნიერებებთან, როგორიცაა ფსიქოლოგია, კიბერნეტიკა, ინფორმაციის თეორია, ბუნებრივია, თითოეული მათგანი ენას განიხილავს თავისი თვალსაწიერიდან. თავისი კვლევის მეთოდებით, არსებს რა მისთვის საჭირო ფაქტებს ამა თუ იმ ცოდნის დასადგენად. იქნება შესაძლებლობა მეთოდებისა და ფაქტების ადვილი ექსტრაპოლირების და მათი ფართოდ გამოყენებისაც. ამის გამოა, რომ ჩამოთვლილ დისციპლინათა მიღწევებისა და ცოდნის დაგროვებამ განაპირობა იმ ახალი ტენდენციის წარმოშობა, რომელსაც კოგნიტიური ლინგვისტიკა ეწოდება. მის ფუძემდებლებად ითვლებიან ამერიკელი ენათმეცნიერი ნ. ხომსკი და ფსიქოლოგი ჯ. მილერი. ყურადღების ცენტრში მოექცა ენა, როგორც საერთო შემეცნების მექანიზმი - ნიშანთა სისტემა, როგორც კოგნიტიური ინსტრუმენტი ინფორმაციის დასამუშავებლად: კოდირება დეკოდირებისთვის და ტრანსფორმირებისთვის. აღნიშნული კვლევის შედეგები გვთავაზობს გასაღებს საერთოდ ადამიანის კოგნიციის გასახსენლად. ენის ლექსიკური სტრუქტურა განიხილება, როგორც ადამიანის კოგნიციის და ენის სემანტიკური პარამეტრების ურთიერთქმედების შედეგი. ამგვარად, ენის გამომსახველობით საშუალებათა შესწავლამ შესაძლოა განაპირობოს როგორც ენის სიღრმისეული პროცესების საიდუმლოების წვდომა, ასევე ტენის ქმედებების, ანუ აზროვნების საიდუმლოებაც.

სვენნი მიზანია სიტყვის ინფორმატული პოტენციალის კომპლექსური კვლევა მხატვრულ ტექსტში. იგულისხმება

ისეთი თეორიის შემუშავება, რომელიც გასახზღვრავს აღნიშნული ენობრივი ფენომენის მრავალხასიან სემანტიკურ ბუნებას. შემუშავებულია სპარაუდი კომპლექსური მეორედი, რომელიც ითვალისწინებს სტილისტური ანალიზის, ფიქსილინგვისტური და ინფორმაციის თეორიის 'სოგადი დებულებების მოშველიებით აღნიშნული ენობრივი ფენომენის შესწავლას. მეცნიერული გამოკვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შემუშავდა ინფორმაციული სტრატეგიკაციურ ფაზური მიდელი (სფმ) აღნიშნული ფენომენის გამოხატულებად.

სხვადასხვა ენობრივი ტექსტების შინაარსობრივ-კომპოზიციურმა ანალიზმა გვიხვეხა, რომ ყოველი ცოდნა-ინფორმაცია წარმოადგენს სტრუქტურულად ორგანიზებულ ტექსტს, სადაც მრავალმნიშვნელოანი სიტყვა-კონცეპტი სხვადასხვა ინფორმაციული დატვირთით ფუნქციონირებს, რათა 'შექმნას სტილისტურ-კონცეპტუალური სისტემა - მხატვრული ტექსტი. ამდგომარის სიტყვების წყალობით ყოველი ნაწარმოები ეპოქის შესაბამისად იშვიფრება.

## ნაწილი I

### სიტყვის სემანტიკა და მისი როლი მხატვრული

### ტექსტის ინფორმატიულობის დადგენაში

### თავი 1.1. თეორიული და მეთოდოლოგიური

### საფუძვლები

*“მხოლოდ სიტყვას შეუძლია აბსურდული  
სამყარო აქციოს კარმონიულად”  
ჟან პოლ სარტრი*

წინამდებარე თავში შევეცდებით, ჩამოვაყალიბოთ კვლევის თეორიული წინაპირობა, რისთვისაც განვიხილავთ არა მარტო ტრადიციულ ლინგვისტურ თეორიას, არამედ კოგნიტიური მეცნიერების კავშირს სტილისტიკასთან და ნომინაციის თეორიასთან, ობიექტური სინამდვილის აღქმისა და დანაწევრების პრინციპებს და თანამედროვე აზრს ადამიანის ცოდნა-გამოცდილების, კერძოდ, ლინგვისტური მასალის კატეგორიზაციის თაობაზე. ამიტომაც წარმოიშვა კოგნიტიური მეცნიერება, როგორც დისციპლინათმორისო მეცნიერება, რომელიც მოწოდებულია, გააერთიანოს სპეციალისტთა ძალისხმევა ცოდნის სხვადასხვა დარგში: ფსიქოლოგიებისა და ლინგვისტების, ფილოსოფოსებისა და ინჟინრების, ინფორმაციის თეორეტიკოსებისა და კომპიუტერულ რეზივში ცოდნის ბაზების ორგანიზაციასა და მათემატიკურ მოდელირებაში.

მომდევნო თავში მთავარი აქცენტი გადატანილი იქნება იმ ცნებების დაზუსტებაზე, რომელიც საჭირო იქნება მოცემული ენობრივი მოდელის – სიტყვის ინფორმატიულობის პოტენციის ხარისხის დადგენისთვის; სიტყვის გაგება როგორც ენის სისტემის ძირითადი ერთეული და მისი დიქსიკური მნიშვნელობების განვითარების პრინციპები და კატეგორიები. ბუნებრივია, ყურადღებას მივაქცევთ ისეთი ცნე-

ბების ახსნა-განმარტებას, როგორცაა: ხიციკის ხეისანი, ქერ-  
კონცეპტუალური სტრუქტურა, ცოდნის მეხტადური რეპრე-  
ზენტაცია, ადამიანის შემეცნებით-(კოგნიტიური) უნარი ენობ-  
რივი ნიშნებით გამოხატვის ახრობრივად აღქმული სამყარო.

ცნობილია, რომ ამასე თაგის დროსე წერდა ა: პიტეგორა:  
"ყოფრმა განგეაწკობს ისე, რომ ხეყნ ესედაყო, არა ერთი,  
კერძო შემთხვევის გამოხახელებას, არამედ განუხახელებული  
რათაენობის მჭერიეებსა და მახთან დაკავშირებულ გრძნობ-  
ბებს და ნიშნებს ან ხიმბილიეებს". სტ. უელსანი ასე-  
ყო "ხტილისებულ ხიტეეას უხახელო" რეკერბერაციების"  
ხიმბილიოს უწოდებს, აუციმცევა - პილიეადენცობას;  
ბახტინის თქმით "ამბიეადენცობაა", მკვეხედავა "ხიმულტა-  
ნერ ბერეხად" აღიქვამს ხიტეეის ასეო გაბუნდოგანებულ  
უხახელოებს მტეეეელებამო, ანე სამყარო ერთ ღეათებრიე  
ხატში - ხიტეეა-კონცეპტში წარმოგეიადგება.

ამასთან დაკავშირებით აუცილებულია ტექსტის, როგორც  
მეტეეეელების ერთეულის ცნების განხახეღვრა-დასეხტების  
მომეეეეეება ღინგეო-სტილისტურ მეცნიერებამო. მისი სწორი  
გაგება დაგეეხმარება იმ კანონ-ხომიერებების კატეგორი-  
ზაციამო, რომელიც გავლენას ახდენს ხიტეეის ახელ კონ-  
ტაციურ ხექტრსე, ამრიგად, ხეყნი კვლევხათვის ამოხეა-  
ღია ის ფაქტი, რომ ტექსტი წარმოადგენს არა მარტო ხემახ-  
ტეკურ-კონცეპტუალურ სტრუქტურას, არამედ ხტილისტურ  
ელემენტთა ხისტემას, ყოველი ელემენტი ხეეადახევა ინფორ-  
მაციული პიტენციითაა დატეირიული და კაერთიანებუღია  
ერთიანი მიზანსწრაფული ინტენციით, ასეოი ელემენტი  
თავიხათეში შეისხიხეღორეებს მიეღლი ტექსტის როელ  
კომპლექსს - ერთიან ტექსტს, რომელიც მიღლიანობის ფუნქ-  
ციას იმღენად ყღობს, რამღენადაც ის გამეღაენებუღია ამ  
ფიგურა-ხახეში, ანე ხიტეეაში.

ესიეტიურ-შემეცნებითი ფუნქციის რეაღიზაციისას  
ტექსტში მიმღინარეობს მრავალხახიანი ინფორმაციის გადა-  
ცემა ხეედაახევა მქოთხეელსე-ხიტეეის ენობრივი ფუნქცია,  
რომელხაც ის ახრეულებს პარადიგმატიკამო, არ არის გადაამწ-  
ეეეეტი, მთავარია ხემახტიკურ-კონცეპტუალური ინფორმაციის  
ტეეეაღობა, რომელხაც ის იძენს ხინტაგმატიურ პღანში, სწო-  
რელ ამტომ ტექსტის ხტილისტიკა უშეაღლო დაკავშირე-  
ბუღია, ერთი მხრიე, ღიტერატურათმკოდენუბახთან და,  
მეორე მხრიე, თითქის ხინიეხის ხახით, აერთიანებს ეეეღია

ცოდნას ენაზე, რასაც გეთავაზობს როგორც სუსტი ისე ძე-  
მანიტარული მეცნიერება. შემთხვევითი როდია, რომ კოგნი-  
ტიური მეცნიერების მთელი მიმართულება დღეს დაკავში-  
რებულია ტექსტის გაგების პრობლემის გადაწყვეტასთან, ანუ  
სიტყვიდან ინფორმაციის ამოღებასთან.

თანამედროვე ენათმეცნიერება, გენერატიული გრამატი-  
კისა და კოგნიტიური მეთოდის განვითარებასთან ერთად,  
ხასიათდება მსარდი ინტერესით ლექსიკური ერთეულისადმი.  
უმრავლესობა ლინგვისტების ასრით, ლექსიკური ერთეულის  
თვისებები აღმოჩნდა უფრო არსებითი გრამატიკისა და  
სინტაქსისათვის, ვიდრე ამას ადრე ფიქრობდნენ. საყურად-  
ღებოა, მათი ამოსავალი დებულება ემყარება მეტყველების  
წარმოქმნისა და აღქმისთვის ისეთი ერთეულის უპირატე-  
სობას როგორცაა სიტყვა, რომელიც ინფორმაციის შენახე-  
სა და გამოყენების (ცენტრალურ ერთეულის წარმოადგენს,  
რომლის წვდომა და ხილრმისეული შესწავლა ჩვენი კვლევის  
ძირითად ამოცანას შეადგენს.

ხშირად თვლიან, რომ მთელი ინფორმაცია ენის შესახებ  
ნაწერილია სიტყვაში და, რომ სიტყვა ასრულებს მთელი თა-  
ვისი თვისებების პროექტირებას წარმოშობილ გამონათქვამში  
სამეტყველო ქმედების დროს. აღნიშნული მტკიცება მეტად  
მნიშვნელოვანია ტექსტის ლინგვისტიკისათვის, რომელიც  
შეუძლებელი იქნებოდა თუ არა ნიშნის ცნების გადატანა  
სიტყვიდან ტექსტზე (სეფრაზულ ერთიანობაზე, წინადა-  
დებაზე და ა.შ.). აქედან გამომდინარე, ჩვენი კვლევისათვის  
ტექსტს განვიხილავთ როგორც სრულ ნიშანს, რომელსაც  
თავისი პარამეტრები გააჩნია.

გამოავლინდა აღნიშნული ენობრივი ფაქტის არაერთ-  
გვაროვნება. სიტყვის ინფორმაციული პოტენციალის გამოყე-  
ნება, ანუ სიტყვის მნიშვნელობების ურთიერთსემპქმედება  
და ურთიერთმიმართებები სცილდება ენის ელემენტების ურ-  
თიერთობებს გაბმულ მეტყველებაში. როდესაც საუბარია  
სიტყვის მათრგანიზებულ უნარზე ტექსტში, ეურადლება  
გამახვილებულია ტექსტის შემადგენელ ერთეულებზე და მათ  
მოწესრიგებულ თანმიმდევრობაზე მილიან ტექსტში. სხვადა-  
სხვა ავტორი სხვადასხვაგვარად წარმოადგენს ტექსტის მო-  
ნაკვეთის სიგრძეს, რომელიც აუცილებელია, რათა სიტყვაში  
ჩამარხული ინფორმაციის წვდომა მოხერხდეს. გადაამუშავდეს  
და შემდეგ აღქმული იქნეს სხვადასხვა მკითხველის მიერ. ამ

შემოსხვევაში ხაუბარია ტექსტში გამოვლენილი სიტყვის კონტექსტუალურ პოლისემიასზე განხილულა მისი ტიპები და დაღვინდა მათი მიმართება ტექსტის შესაღვანელ ერთეულებთან.\* ამ მიმართებების კვლევა წინამდებარე ნაშრომში ოთხ პლანშია განხილული: სემანტიკური პლანი, სინტაქტიკის პლანი, პრაგმატიკის და ფუნქციონირების პლანები.

სენი კვლევის მიზანია სიტყვის სიღრმისეული შესწავლა და მისი ფუნქციების გამოვლენა, ამხთან უნდა წარმოვანიხოთ სიტყვის მნიშვნელობათა კომბინატორული, თეომაორგანიზებული უნარი და აზრობრივი კავშირები ტექსტში, როგორც მოღიან სისტემაში, ერთი მხრივ, გამოიკვეთა სიტყვა ღერძი, რომელიც წარმოქმნის ტექსტის ენერჯიას, როგორც მათრგანიზებულ ძვლას, რათა მოაწეროვოს და შექმნას ახალი სისტემა, ახალი წესრიგი ანუ ახალი ინყორმაცია, მყორე მხრივ, მიმდინარეობს სიტყვის ახალი ხატყოყისა და ახალი მნიშვნელობების დაბადების პროცესი.

ყოველი რეკუპტორი-მყოხველი (სისტემაში: ტექსტი-მყოხველი, მთარგმნელი) და ყოველი რეკუპტორი მსმენელი (სისტემაში: მოსაუბრე-მსმენელი) აზროვნებს შემოქმედებითად, რომ ტექსტის აქტური აღქმა ან მოხმენა-გაგება წარმოადგენს აზროვნების შემოქმედებით პროცესს, ეს კი თავის მხრივ, გულისხმობს სტოქასტიკურ არწყევანს, ამ მოვლენას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ნოემ ხომსკი და ხაზს უსყამს, რომ ეს „შემოქმედებითი ახვექტი“ დამახასიათებელია ყოველი ენის ნორმალური გამოყენების დროს.

მიზანხადამე, სიტყვის შიდა სტრუქტურის არხის გახსნა და პოლისემიის ყვამქტის კანონზომიებების სიღრმისეული კვლევა კოგნიტური პოზიციიდან, ნიშნავს ადამიანის აზრობრივ-შემოქმედებითი პროცესის კვლევახაც; აქვე უნდა კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ შემოქმედებითი პროცესი არ შეიძლება იყოს დეტერმინირებული, აღქმის პროცესი, როგორც ადამიანის ტეინის მოქმედება, სტოქასტიკურია, ეს ნიშნავს გადაწვეცილების განუწვეციტელ ძიებას ოპტიმალური ვართან-

\* პოლისემია, რომელიც სიტყვის სემანტიკურად განვლავებულ სტრუქტურირებულ მნიშვნელობებს წარმოადგენს, ენის სიტყვის ერთერთი ძირითადი მახასიათებელია, მოხელეად ამისა, პოლისემიის მეტყველებაში და ტექსტში, ანუ სიტყვის მნიშვნელობათა ერთობრივ რეალიზაციას, სენი მოველენით ხატყოყის დეკო ნაშრომი Дрoхaнe A. "Синтaктичeскoе испoльзoвaниe мнoгoмнoчнoгo слoвa в слoвoсoчeтeннoм тeкстe" (Mocквa 1977)



ტების მისაღებად, ანუ მიღებული შედეგების გადამოწმება. განუწყვეტელი სინოქსისა და ანალიზის პროცესებით, რაც წარმოშობს ახალ სახეს, ახალ კონცეპტს.

ამის შესახებ გახატვად კეთიხელოთ ითანე კეტროწის ნაშრომში, რომ ღმერთმა აღამიანს მიანიჭა "სიტყვაი" - ღლოგოსი, ვითარც შინაგანი გულისხმა, რომელიც მსგავსად იმ ქვისა, რომელიც თქროს ღირებულებას განსაზღვრავს. უხმარება კაცს თავისი ზრახვებისა და ნამოქმედარის შეყვასებაში და ახალ მორალურ სიბრტყესე აყენებს აღამიანს. მას თუითონ შეუძლია განიცადოს და შეიგნოს იდეალისგან დაცილება, რადგან დგას რა ზეგრძნობად სამყაროთა მიჯნაზე, აერთიანებს მათ ერთ მოუღად. ამაშია აღამიანის კოსმოური დანიშნულება - იგია შუამავალი ზეცასა და მიწას შუა, მისი სამუქადებით ხორციელდება კავშირი იდეალურსა და მატერიალურს შორის, კონკრეტულსა და წარმოსახვით, აბსტრაქტულს შორის.

და მაინც სიტყვაში არის რაღაც, რომელიც გადმოხცემს არა მარტო ღლოგიკურ შინაარსს, რომელსაც აღვიღად აღვიქვამთ, არამედ პოტენციურ ემოციურ, ესთეტიურ-კოგნიტიურ და ექსპრესიულ ინფორმაციას. ამიტომაცაა რომ სიტყვის პრაგმატიკა მისი პოტენციური კომუნიკაციურობაა.

აზრი ენობრივი ერთეულების პოტენციური უნარის შესახებ ჯერ კიდევ ე. მატქსიუსმა დაამკვიდრა ღინგეისტიკაში, რომელსაც ხაკმაოდ დიდი წელილი აქვს ენის სიღრმისეული ცოდნის კვლევაში და სიტყვის სტილისტური ფუნქციონირების ბუნების დადგენაში. თუ პარადიგმატიკის პლანში შევადარებთ სიტყვის პოტენციურ შესაძლებლობებს მის აქტუალიზებულ ორეულთან სინტაგმატიკის პლანში, დავინახავთ, რომ თანდათან ვადიბდება რაღაც საერთო ნაჯერობა. ვინაიდან ტექსტში ნადრმავეებისას ფარული ანუ პოტენციური ინფორმაციის უფრო ადეკვატური გაგება მიმდინარეობს.

მიგვანია, რომ ასეთ პოტენციურ ინფორმაციას ახასიათებს წარმოქმნის განუხაზღვრელობა. რადგანაც მეტყველებებაში ამ პოტენციას გაანია სხედასხვა აღბათური გამოსავალი. ამიტომ, ბუნებრივია, სემანტიკურ-სტილისტური პოტენცია, ანუ შინაარსობრივქვეტექსტური ინფორმაცია, წარმოადგენს აღბათურ სიდიდეს ან კნტროპოულ სახეს სხედასხვა სტოქასტიკური აპროქსიმაციით.

ხელოვნებაში დიდი შემოქმედი სწორედ ასეთი განუ-  
სახლებელი ენერჯის წესს განიცდის, იგი ქაოსიდან ანუ  
განუქსახლებულობიდან ქმნის სიტყვას, ის თვითონ არის ამ  
ქაოსის ანუ უსახლერობის მატარებელი და საშინლად იტან-  
ჯება, რადგან მედშიუ ძიებაშია, ხანამ ადობიქრებულ ემოცი-  
ას სიტყვაში მოათავსებს, მაშასადამე, ენობრივი საშუალებე-  
ბებით გამოხატული ინფორმაცია მეტყველების კატეგორიაა,  
ეინაოდან ენის ერთეულს გაანია კომბინატორული უნარი,  
მააწესრიგის და წარმოქმნას ის დამატებითი ინფორმაცია,  
რომელიც მეტია მასში ხაღებულ შინაარსზე, ბუნებრივია,  
ენობრივი ერთეულის შინაარსი არ არის მხოლოდ უამი გრა-  
მატიკული თუ დექსიკური მნიშვნელობებისა, დექსიკონში  
დაფიქსირებული ანდა პოტენციურად შესაძლებელი მნიშ-  
ვნელობებისა; არამედ ყოველი ინფორმაცია ეს არის ენის ერ-  
თეულში მოათავსებული შინაარსის რეალიზაციის სახში. სა-  
პირისპიროდ იმ ფაქტისა, რომ ენტროპია<sup>\*</sup> არის ქაოსის,  
უსახლერობის სახში, ინფორმაცია არის ორგანიზებულო-  
ბის სახში. ანუ ინფორმაცია არის უსახლერობის მოხსნა  
ამა თუ იმ გამოჩათქვამში უსახლერობა სვენ შემოსუვეაში  
შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც უერ კიდევ გაუქს-  
წყელი, არასრული, დაუმთავრებელი ასრი, საინტერესოა რ,  
აკობლინის განზოგადებელი შესედელება ენტროპიაზე  
“ნეგენტროპია ასაზრდობს სიკოცხლეს”, ხოლო როგორც კი  
ენტროპია დადებითი ხდება, ყველაფერი მთავრდება, ეი,  
როგორც კი ამოიწურება ინფორმაციული პოტენციალი,  
რომელიც მამოძრავებელი და მაცოცხლებელი უნარი  
გამოირჩევა, თავდება ყველაფერი, ანუ კვდება.

საინტერესოა აკოლმზაგორივის ასრი ენობრივი ენტროპია-  
ზე, რომელიც ორი სიდიდისგან შედგება: 1. განსახლერული  
ასრობრივი ტეველობისგან ტექსტში, ანუ ტექსტში ვარკვეუ-  
ლი სიდიდის ასრიანი ინფორმაციის გადმოცემის უნარისგან  
და 2. ენის მოქნილობისგან, ანუ ერთი და იგივე შინაარსის  
სხვადასხვა საშუალებებით გადმოცემის და ტრანსფორმი-  
რების საშუალებებისგან, ეს უკანასკნელი თვისება ითვლება  
სწორედ პოეტური ინფორმაციის, ანუ ეხოტეპერ-შემეცნიებითი

---

\* ენტროპია იხმარება განუქსახლერულობის სახში ერთეულად  
ინფორმაციის თეორიაში. (თაგლომ, თაგლომ, 1973)

ინფორმაციის წყაროდ. ნვენს შემთხვევაში, როგორც უკვე აღნიშნეთ, ესაა სიტყვის ინფორმატიული პოტენცია მრავალსახიანი ინფორმაციის გადასაცემად. ამასთან სიტყვის შემოქმედებითი ძალა სხვადასხვა სახის ასოციაციების წარმოსაქმნელად სხვადასხვა მეთოდებისათვის სხვადასხვა იქნება მოცემულ სიტუაციაში და მოცემულ კონკრეტულ კონტექსტში. სტილისტური ეფექტი არ წარმოიქმნება, თუ არ გააქვს ასოციაციების თანმიმდევრობა. სტილისტური კონტრასტები, როგორც ხასარგებლო თაზოციები ენაში, წარმოშობენ სისტემებს, სტუქტურებს. ამის შედეგია, რომ განასხვავებენ კონტექსტის სამ სახეობას: ლინგვისტურს, სტილისტურსა და კვლტურულს.

თუ ესთეტიურ-შემეცნებითი ინფორმაციის წარმოქმნის აღბათობა რეალობაა, მაშინ გარკვეულ პირობებში ის დუბულობს კატეგორიალურ ენობრივ სტატუსს. სანამ ამ პირობების კონკრეტულ დახასიათებაზე გადავალოთ, მიზანშეწონილად მიგვიჩნია, შევეხოთ თანამედროვე კოგნიტიური ლინგვისტიკის მსოფლმხედველობას აღნიშნული საკითხის შესახებ.

ენის გაგებას, როგორც ფორმალურად ორგანიზებული სისტემისა, ლოგიკურად მიუყვართ იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნულ სისტემაში დაავადგინოთ ასეთივე ფორმალურად დადგენილი კატეგორიები ანუ ჩავთვალოთ, რომ ლინგვისტური კლასიფიკაციები (მეტყველების ნაწილები კი, უპირველეს ყოვლისა, სიტყვათა ლინგვისტური კლასიფიკაცია) ემყარება რაღაც ფორმალურ საფუძვლებს. მაშინ ისინი უნდა პასუხობდნენ ისეთ წარმოდგენებს კატეგორიების შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში არსებობდა. მაგრამ ლიტერატურული მონაცემები და ენების ემპირიული აღწერა აქლუნს საწინააღმდეგო, არათანმიმდევრულ "გამონაკლისებს". ეს უკვე მიუთითებს, რომ ტრადიციული მეთოდი, მათი კატეგორიების ლოგიკურ ორგანიზებულობაზე ვერანაირ შედეგებს ვერ გათავაზობს. მაშინ თუ ენის ძირითადი ერთეული (სიტყვა) "ბუნებრივად" მოწყობილი, მის ფორმალურ თვისებებზე ლაპარაკიც სუკუმეტია. ნათქვამი არაფრით არ უგულებელყოფს კვლევის ფორმალურ მეთოდებს, რასაკვირველია, ენის მოდელირების "მკაცრ" ხასიათზე არ ვლაპარაკობთ. კოგნიტიური შეხედულება საგნებზე ნვენს ეურადღებას იპყრობს იმ ინტერესის გამო, რომ გაირკვეს, რატომ არის ენა

სწორედ ასე ორგანიზებული და არა სხვანაირად, რაში მდგომარეობს ხაკომუნისტური საშუალებების ბუნებრივი ხისტიკა.

მეცნიერების ერთეულებისადმი კოგნიტიური მდგომარეობის მდგომარეობის იმ რიგის დადგენაში, რომელსაც ის ასრულებს ისეთ მატერიალურ, ხიმიკურ ხისტიკაში, როგორც ადამიანის ინტელექტია, ეს კი ნიშნავს უპასუხო კითხვას, თუ რა ადგილი ეკუთვნის ხიტიკას სამყაროს ხაერთო კონცეპტუალურ მოდელში, ასე ხაკომი იმის შესახებ, თუ ხამყაროს კოგნიტიური, შემეცნებითი დანაწევრება როგორ ახასიათებს ენობრივი დახასხელებების ხისტიკაში, ამ ხაკომების აღქმას და განხილვას უმთავრესად მომდევნო თავები.

ენობრივი შესხელებები იმის შესახებ, რომ ენა არის უტყუარო საბუთი ადამიანის ტვისში ხეკადახხეკა ხტრეკტურებად განლაგებული ცოდნის ხამყაროს შესახებ და, რომ ამ ხტრეკტურების ძირითადი ხავეკველია კონცეპტი როგორც მეხეკელი ინფორმაციის ერთეული, წარმოადგენს ხეენი კვლევისთვის ამხაყად დებულებას, კონცეპტების ხეკადახხეკა ხახე არხეობას: მეტაფორები, აღქმები, წარმოადგენები, ხქემები, დიაგრამები, სურათები, ფრეისები და ხხეკა, ისინი წარმოიშობა ხამყაროს აღქმის პროცესში და ეკლდებება შემეცნების ქმედებაში: ისინი განახილვადებენ, არეკლდებენ ადამიანის გამოცდილებას, გაახრებულს რეალურ ხამყარობის კონტაქტში, თუ როგორი არის ხამყარო ხეკადახხეკა ტიპის ხაქმიანობაში დანახული და ადამიანის გონით გაგებელი.

ენობრივი ცოდნის ხეენს მიერ წარმოადგენილი მადელი ატარებს შედარებით კონკრეტულ ხახიას და არეკლდებენ როულ აბხტრეკციებს არ მოიცავს, ყოველი მოპოვებული ცნობა კონცეპტურებად ხიტიკის ინტელექტ და აქედან გამომდინარე, გამუდმებულია უფრო როული კონცეპტებით: ხიტყუათშეთახხეებით და წინადადებებით, ხოგჯერ უმარტივეს კონცეპტს ათეულებენ ხეხანტიკურ-ხტიკისტიკურ მარკერთან კომპონენტური ახადიხის დრის, ხოგჯერ კონცეპტუალური ინფორმაცია მოკლებულია ენობრივი გამოხატულებას და წარმოადგენილია მეხტალური რეპრეხენტაციებით ადამიანის ცნობიერებაში, თემკა ყველაზე მხომეხელოვანი კონცეპტი კლდინებულია მხოდოდ ენაში, ძირითადად გრამატიკაში, რადგანაც სწორედ გრამატიკული კატეგორიხაცია წარმოქმ-

ნის იმ კონცეპტუალურ ქსელს, იმ კარკასს, რომელიც შემდგომში დექსიკურად გამოიხატება.

ყინაიდან სიტყვების უმრავლესობა ენაში მრავალმნიშვნელობიანია, შეინიშნება ამ ერთუელთა ერთგვარი ასიმეტრია გამოხატულებისა და შინაარსის პლანებში. სიტყვა, ერთი მხრივ, გვევლინება როგორც მთლიანი ნიშანი-კონცეპტი შინაარსის პლანში და, მეორე მხრივ, როგორც დექსიკური მნიშვნელობის ადვილად სეგმენტირებადი სტრუქტურა.

დექსიკური მნიშვნელობა გვესმის როგორც სამი ფაქტორისგან განპირობებული არსი: საგნობრივ-ცნებითი თანაფარდობა სიტყვისა, როგორც ნომინალური სისტემის ერთუელისა პარადიგმატული სისტემის პლანში (შიდასისტემური მნიშვნელობა), ხოლო სინტაგმატური სიტყვათშეთანხმება – სიტყვის სტილისტური მნიშვნელობებია ლინგვარულ მწკრივში. პირველი ფაქტორი გვევლინება ინვარიანტად, სემანტიკური 'ხეჯარის დასადგენად მეტყველებაში და ერთიერთგაგების დასამჯარებლად ენის მატარებელთა კოლექტივისთვის (კომუნიკაციის საფუძველი); ამასთანავე ეს ვირტუალური ნიშანი აქარებს არაინდივიდუალურ, სოცად ხასიათს, განსხვავებით აქტუალური სიტყვის ნიშნისგან, რომელიც კერძო და ინდივიდუალურია.

სიტყვის ასეთ სემანტიკურ-კოგნიტიურ გაგებას მივეყვართ იმ როულ, კომპლექსურ კავშირებთან და მიმართებებთან, რომელშიც აღმონდება ნებისმიერი ენის სიტყვა ტექსტში. ამავე დროს სიტყვის ახალი მნიშვნელობების წარმოშობა სვეულებრივი, რეგულარული მიუღენაა და პოლისემიის კანონსომიერებით დადგინდება. თუბცა ეს რეგულარული პოლისემია არ არღვევს სიტყვის იდენტურობას, არამედ პირიქით, ყოველი ენა აღიარებს ერთმანეთზე გადაჯაჭვული მნიშვნელობების კავშირს ერთი ნიშნის ქვეშ. სწორედ მათ ერთობას ამტკიცებს რეგულარული პოლისემია, რომელსაც ვხვდებით ტექსტში მეტყველების სხვადასხვა ნაწილების ფუნქციონირების დროს. სიტყვის ერთდროული წართვა სხვადასხვა ურთიერთგადამკვეთ სისტემებში (ფონეტიკურში, მორფოლოგიურში, სინტაქსურში თუ სემანტიკურში) ბუნებრივია, მოუხმობს სხვადასხვა ლინგვისტურ დისციპლინებს მის გამოსაკვლევად.

სემასიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი მ. ბრეალი, რომელმაც პირველმა შექმნიტანა სიტყვის დამახასიათებელი

ცერძინი "პოლისემია", აღნიშნავს, რომ "პოლისემიის ციკლი-  
ლიზაციის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია", ასრე იმის  
შესახებ, რომ კონტექსტში პოლისემიის ნივთიერდება, მარ-  
თებულაა მხოლოდ სოცურთა ტიპის ტექსტებისათვის: ასე  
მაგალითად, სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტების და მეტყვე-  
ლების ნეიტრალური ფორმებისათვის. ბუნებრივია, სინტაგ-  
მატურ პლაზმაში მხოლოდ უშუალოდ ერთი, აცილებული  
მნიშვნელობა რჩება ძირითად ფაქტორად, მაგრამ მსატერულ  
პროზაში, პოეზიაში, სოცურთა ტიპის საქმიან დოკუმენტებ-  
შიც კერძოდ, დიპლომატიურში, მრავალი სიტყვა და მათ შო-  
რის სპეციალური დექსიკიდან სამეცნიერო ტერმინებიც კი  
საშუალებას გვაძლევს აღვიქვათ ერთდროულად სიტყვა რამ-  
დენიმე სხვადასხვა მნიშვნელობებით, არა მარტო პოეზიაში  
და მსატერულ ტექსტში, არამედ მეცნიერულ ნაშრომშიც  
სიტყვის განუხსლვრელი პოტენციალი აძლევს ადამიანს,  
შემოსქვლებითად იასროვნის უღვიძებს რა გამომგონებლურ  
ნიჭს, იგი ასრის გამოფერის და ინტერპრეტაციის სხვადასხვა  
ვარსანტს სთავაზობს, წარმოქმნება ასოციაციების რამდენ-  
იმე ნაკადი ერთდროულად, როგორც სხვადასხვა ხნის  
ერთდროული პოლიფონია მუხიკაში; ხოლო სტილისტიკაში ი.  
რ. გაღვრინმა მას კონტრაპუნქტის ეფექტი უწოდა, რო-  
მელიც იმარება რთული გრანობების და ემციების მრავალ-  
სახად წარმოსენისთვის.

ამკვარად, ტექსტში სიტყვის პოლისემიის ხასრიანი გამო-  
ყენება, ანუ მისი სემანტიკური უხასლვრეობა, სტილისტიკურ  
მარკვრად მიიხნევა, რომელიც სავსებით რეკვლარულია  
პოეზიაში და წარმოადგენს ესოტერ-კოგნიტიური ინფორმა-  
ციის გამოსატვის ეფექტურ საშუალებას, ამ შემთხვევაში  
ორივე სიტემა ავტორი-ტექსტი და ტექსტი-მკითხველიც გა-  
მოიხრევა განუხასლვრელობით, დასახვლებული სიტემების  
ერთიერთქმედება სიტყვის შიდა სტრუქტურის ერთეულებთან  
იერარქიულ მიმართებაში ქმნიას ხასურველ პირობებს ასადი,  
გაუცნობიერებელი ინფორმაციის წარმოსაქმნელად.

ასრე სიტყვის სემანტიკურ-კონტექსტუალური სტრუქტურის  
ერთეულთა შიდა იერარქიული მიმართებების შესახებ, გან-  
საკუთრებით მნიშვნელოვანია იმ კომპლექსურ სემათა დასად-  
გენად, რომლებიც აღქმის დრის წარმოიშობა, ი.რ. გაღვრინის  
მიხედვით: "ტექსტი ეს არის შეტყობინება, რომელიც  
ხნის წინადალებით წარმოშობიდ ენტროპიას", მიგვანინა,

რომ არა მარტო წინადადება, არამედ სიტყვაც შეტყობინებაა წარმოშობილი ენტროპიის მოსახსნელად. ბუნებრივია, ისეთი მაღალენტროპიული სიტყვებისა, რომელთაც გაანჩიათ ინფორმატული პოტენციალის სხვადასხვა ხარისხი.

ზოგიერთი ავტორი ინფორმატულ პოტენციალს განსაზღვრავს როგორც ტექსტის ენის და მკითხველის ენის ურთიერთქმედების თანაფარდობას. როგორც აღენიშნეთ, მრავალმნიშვნელობიანი სიტყვა ტექსტში დატვირთულია მრავალპლანიანი ინფორმაციით, რომლის დაწოდების ქვეშ ცალკეული ფრაზა, წინადადება და აბსაცი წარმონდგება მრავალმნიშვნელობიანად და შედის მოველი ტექსტის სემანტიკურ-კონცეპტუალური სტრუქტურის დინამიკურ მოძრაობასა და სემანტაქტიდში. ამ დროს მოცემული სიტყვის სემები იდენტიფიცირებულია მოცემული ტექსტის დანარჩენი ენობრივი ერთეულების სემანტიკურ სტრუქტურებში.

იმისათვის, რომ დავაკვირდეთ საკვლევი მოვლენის დინამიკურ პროცესს, საჭიროა განვსაზღვროთ პირობები, რომელიც უზრუნველყოფს სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობების ერთდროულ რეალიზაციას ტექსტში. ან უფრო სუსტად, საჭიროა გამოვამკლავნოთ აღნიშნული სტილისტური ხერხის სემანტიკურ-სტრუქტურული პარამეტრები, დავადგინოთ მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის ინფორმატულობა და სხვადასხვა საფუძურზე მათი კონტრასტები.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ყოველი ლექსიკურ - სემანტიკური მნიშვნელობის დიფერენციალური თვისებების დადგენა, რომელიც შედის ამ სიტყვაში. მხოლოდ დიფერენციალური თვისებების დადგენის საფუძველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღვწეროთ ის კონტექსტუალური ტრანსფორმაციები, რომელსაც განიცდის ავტორისეული სიტყვა ტექსტში და განვსაზღვროთ ამ ტრანსფორმაციების კატეგორიალური თვისებები. ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს, დავადგინოთ სიტყვის მნიშვნელობის ინფორმატულობის ხარისხი კონტექსტში, ანუ დავადგინოთ ესთეტიურ-შემეცნებითი ფუნქცია, როგორც ცალკეული ტრანსფორმაციებისა ლექსიკური მნიშვნელობის სისტემის შიგნით. ასევე ამ სისტემის ურთიერთქმედებისას - მეტყველებაში. ამგვარად დავადგინოთ სიტყვის ინფორმატულობა, როგორც ტექსტადქმნადობის და ორგანიზების ლინგვისტური საფუძველი.

ცნობდათ, რომ ინფორმაციის თეორია შეესაბამება იმ ინფორმაციის რაოდენობის ხიდიდებს, რომელიც ხიდადის მიაქვს და მის შინაარსთან ხაერით არაყერი არა აქვს. მასში რიდეხაც; კომუნიკაციის თეორიაში - ინფორმაცია მიხნევა, როგორც განუხახლეერელობის მოხსნა-დაკონკრეტება ტრადიციულ დინგვისტიკაში, ინფორმაცია გამოიყენება კომუნიკაციის არხებით, ენობრივი თუ სხვა შინაარსობრივი მახადის გადახაცემად. ხილო ინფორმაციის ხემსნტიკური ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება დინგვისტიკური კვლევისთვის, უფრო მეტად უახლოვდება ენის რეალოება და დინგვისტიკის მოთხეებებს.

დაეებრუნდეთ ისევ ხიტევის ინფორმაციული პოტენციალის, როგორც შემოქმედებითი პროცესის კვლევის, რომელიც არ შეიძლება იყოს წინასწარ განმარტებული და გათვლილი. წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული ახალი ხახე არ იქნება მიულოდნელი ხიხარული.

მხატვრული ტექსტის უმუჯლო შექმნაც არ შეიძლება იყოს წინასწარგათვლილი, დეტერმინირებული. ტექსტის სტრუქტურა განისახლევა შინაარსით და იმ ახრობრივი სტრუქტურებით, რომელიც ადამიანის ცნობიერებაშია განლაგებული და, რომლებიც აუცილებლად გადაადგილდებიან ალბათური თქერაციებით, რომლის დროსაც მიმდინარეობს ერთ-ერთი ეველახე ადეკვატური გამოხავალის შერევა.

ცხადია, ხიტევის ხემსნტიკურ-ხტიდისტიკური პოტენციალის ფაქტორის კონსტატაცია ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ადეკვატური შესატევისი მიიღება სტოქასტიკური აბოქსიმაციის თბიექტური პრინციპით, ახე ხაჭიროა დაეადგინოთ, თუ როგორი ხიხეხტით ახახევა და მიეხადაგება ეს თუ ის ხიტევა მიუღი ტექსტის ერთიან ხიმბილოს - ხიტევა-კონტეპტს.

ამგორად, ხიტევის ინფორმაციული პოტენციალი მიიქაცხ არა მარტო ხიტევათშეთანხმებას ან წინადადების ფარგლებს, ან ერთ მიუღ სტრუქტურს, ხოჯჯერ არც ერთ თაქს, არამედ მიუღ ხაწარმოებს, როგორც ერთ მილოთან ხისტემას.

კონექციონისში 80-იანი წლების მინაბეჯარია დინგვისტიკაში, რიდეხაც; დრემელსტრემა და ჟმაკველანდმა გამოიშქმავეს პირველი კონექციონური მიუღი ინფორმაციის გადახემავებისთვის. მათვე ეკუთვნით ინფორმაციის პარადელური ახე ხიმულტანური გადახემავების იღვა. წიე-



რონული ქსელის სხვადასხვა უჯრედებში. მათი აზრით, ასეთი იყო კოგნიციის მიკროსტრუქტურა, რომელიც ასახავდა ისეთ ლინგვისტიკურ მოდელებს, როგორიცაა სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობების დადგენა და განსხვავება პირდაპირ და გადატანით მნიშვნელობებს შორის. აღნიშნავენ ასევე ასოციაციური მოდელების მსგავსებას, მაგრამ ამ მიმდინარეობას ჰქაყეს თავისი მოწინააღმდეგეანი. ერთი მხრივ, ის გულისხმობს გადაამუშავებული ინფორმაციის პარალელურ განაწილებას. ხოლო მეორე მხრივ, ნეირონული ქსელის აღვივლად მოქმედ კავშირებსა და ძალებს. ასეთი მიმართულება ფართოდ იკიდებს ფეხს ლინგვისტიკაში.

სიმბოლისტურ ქსელში თითოეული კვანძი წარმოადგენს კომპონენტს,\* რომლის თითოეული ერთეული ატარებს ინფორმაციას, მაგრამ პირდაპირ რომელიმე ნიშანს არ შეესატყვისება, რადგან სიმბოლისტურ მოდელებში, განასხვავებენ ინფორმაციის პროცესირების ღოკალურ და პარალელური გადაამუშავების ტიპებს. პირველში ცოდნის სტრუქტურები პირდაპირ არიან კოდირებული ანუ მაკავშირებული კვანძები შეესაბამება ცალკეულ რეპრეზენტირებულ კონცეპტს: ფონემებს, სიტყვებს. მეორეში დგანან ამ კვანძების მიღმა. მთლიანი მოდელის მიღმა, რომელიც მთელი ამ კავშირების ერთობლივი მოქმედებით აღძრული ინფორმაციაა. ეს უკანასკნელი მოდეული წარმოადგენს კოგნიციის მოდეულს სოციალად, მაგრამ ფაქტურად ის აღწერს ლინგვისტიკური ქმედების სხვადასხვა სახეს.

კონექციონისტური მოდელების კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანია მათი ადაპტაციის უნარი ცვალებადი კავშირების პირობებში. ენათმეცნიერთა აზრით სიტყვები ურთიერთასოცირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ცნებები შედიან მეხსიერებაში კოდირებულ პროპოზიციებში. კოგნიტიური თეაფსაზრისით, ადამიანის მეხსიერება უსარმაზარი ქსელია ურთიერთგადამკვეთი პროპო-

\* ტერმინი „კომპონენტი“ იხმარება როგორც სიტყვის მნიშვნელობის უმცირესი შესაღწეველი ნაწილი. რომელიც შეესაბამება სიტყვით გამოსატყველ ცნებას და განთავსდება სიტყვის თვალწინ არსის აღსანიშნავად ენობრივი ფორმის რეალისაციის გარეშე. თუთი დექსიკური მნიშვნელობა გამოსატყველია სიტყვის შინაარსობრივი სტრუქტურის ცნებით, რომელშიც გამოყოფილია ფიქსირებული განსხვავებები და სხვის ვირტუალურსა და აქცენტურ მნიშვნელობებს შორის მოსუხებით ანტიანთას (უფიცქვეა 1968, 86).

ზიცაველი ხეებისა, რომელთაგან თითოეული შეიცავს მესხიერების მრავალს კავშირებით დაფიქსირებული კვანძების კომპლექტს. ამით აღსანიშნავია ის პირობა, რომ გადაამუშავებული ინფორმაციის სხვადასხვა ციკლები კოგნიტიური სისტემების საშუალებით(ენით, მხედველობით და ა.შ.) ამჟღავნებენ ხაერითი ანალოგიურ პრინციპებს - სხვადასხვა ინფორმაციის არეგანიზების თვითმმართველ უნარს.

ამასთან ტექსტის შექმნის პროცესი არ შეიძლება მკაცრად დაგეგმილი იყოს, რადგან "ტექსტის სტრუქტურა განისაზღვრება მისი შინაარსით და ცნობიერებაში დაღვავებული საწესი სტრუქტურებით, რომლებიც ტექსტის წარმოსახვისათვის აუცილებელი და რომლებიც აღბათური პროცესებით გადანაწილებიან. ამ დროს მიმდინარეობს ერთერთი ოპტიმალურად შესაძლებელი საშუალების შექმნევა მოვლის წარმოსაქმნელად".

ვისათვის ერთნაირი აღბათობა ახალი ინფორმაციის წარმოსაქმნელად დებულობს რეკულარულ ხახიათს. ამიტომ უნდა განესაზღვროთ პირობები აღნიშნული კატეგორიის რეალისაციისათვის. რათა გამოვიკვლიოთ, რომელი პირობა უფრო რელევანტურია სიტყვის ახალი სტილისტური აზრის წარმოსაქმნელად. ამასთან საჭიროა განვსხვავოთ თბიქტურ და სუბთექტური უსაზღვროება სტილისტური აზრის დაბადებისა. მაგალითისათვის მოვიყვანოთ ნაწილები "შექმნისათვის" „მევე ღირს“-დან, ხდაც კითხვა Which of you shall we say doth love us most? "მოთხოვს ხიდრმისეულ ახალისს.

ამ შემთხვევაში სიტყვა-პრედიკატ "love"-ს შეესაბამება დექსიკონში დაფიქსირებული მნიშვნელობა: "მისობისა და შეიღის სიყვარულის დაფასება, რომელსაც უპირისპირდება ტექსტიდან აღმოქმნილი ღირის "ამორალური" ინტერპრეტაცია "So much love-so much land".

ეს ძირითადი სტილისტური ინფორმაცია მაქვეყნა მოველ ტექსტს თქმატურ მოტივად და მუორდება ხინინიმურ ფორმებსა და პერიფრაზ-გამოთქმებში: *begot me, bred me, loved me, ერთი მხრივ, და obey you, love you and most honor you, მუორე მხრივ, რომელშიც წარმოინდება სიტყვა "love"-ის ასაღლებული კონოტაცია: estimate the value of parental love (მესხეთი მცნება), რომელსაც ხაპირისპირად მაქვეყნა კონტრასტული აზრი "cupboard love" = interest of territory, cares of state.*

God my lord.

You have begot me, bred me, loved me: I

Return those duties back as are right fit.

Obey you, love you, and most honour you,

Why have my sisters' husbands, if they say

They love you all? Haply, when I shall wed,

That lord whose hand must take my plight shall carry

Half my love with him, half my care and duty

Sure I shall never marry like my sisters,

To love my father all.

(Shakespeare. 889)

მიმდინარეობს ერთდროულად სულიერად ამაღლებული და კონკრეტულ-შემოფასებლური, მდაბალი გრძობებით გამოწვეული სემა (მამის მიერ მშობლის სიყვარულის არასწორი გაგება). ამ საპირისპირო სემების მოძრაობა იწვევს ე.წ. "დისპარმონიას", ანდა სახარგებლო სემანტიკურ განუსაზღვრელობას სიტყვა-კონცეპტის "love"-ის სემანტიკურ-კონცეპტუალურ სტრუქტურაში. ახოცთა(ციების ეს ორი სხვადასხვა პარალელური მწკრივი ის ქვეტექსტური ინფორმაციაა, რომელიც მოვლი ნაწარმოების ფარული კონცეპტია და, რომელიც საპირისპირო სემების ერთდროული რეალიზაციით პარალელურად წარმოიქმნება.

ამრიგად, სახეზე გვაქვს რიტმული მოძრაობა: ერთი მხრივ, სოციალური დექსიკურ-სემანტიკური ვარიანტების ნეიტრალიზაცია (მინუემბა) და მათ ადგილზე სხვა მოტივირებული სემების მოვლი კომპლექტის წინა პლანზე წამოწევა. გადაადგილებული სემები, როგორც უთქვით, მთლიანად არ იკარგებიან, არამედ ქმნიან ფონს ამ შემთხვევაში ძირითადი სემების უფრო მკაფიოდ რეალიზაციისთვის, სიტყვა-კონცეპტის გამოსაკვეთად. ერთდროული რეალიზაცია წარმოიქმნება როგორც დინამიკური, ისე ექსტრა-დინამიკური ფაქტორების ურთიერთქმედებით, რომლებიც ერთდროულად მოქმედებენ ერთი მთლიანი ტექსტის ფარგლებში.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ა. ფ. ლოსიკის აზრი: "ენობრივი ერთეული ყოველთვის მოძრაეა და იშვიათად შეიძლება იყოს აბსოლუტურად მდგრადი ატომი. ასეთი მოძრაობა გვაიძულებს, ის განვიხილოთ მხოლოდ სხვა ნიშნების კონტექსტში". აქვე უნდა დავერთოთ, რომ ეს ერთეული ენის

მრავალსაუკუნოები ისტორიის მანძილზე არც ისეთი ზომი-  
ვია, რომ მისი ინფენტივიკაცია გაქონდეს, იძისათვის, რომ  
ღრმად ჩაეჭვადო ხიცივის რეგეანტურ სტილისტურ რე-  
ვებს, ხაქირთა განვსახლდროთ მისი ადგილი ენის ხიხტემსში.

ვეერდნობით რა იმ ფაქტს, რომ მხარგრული ხიხტეა  
იწვევს არა მარტო ეხიეტიურ, არამედ გარკვეულ ფიხიკურ  
შეგრძნებებს, უნდა ვადიაროთ, რომ ასეთი ხიხტეა წარმოად-  
გენს როელი კომპლექსური ურთიერთქმედებების ხიხტემს  
გრძნობადსა (სენსორულსა) და ენებთის შორის. აღნიშნული  
პრინციპის საფუძველზე მიეიშველიეთ იგავაპერინის მიერ  
შემთავაზებული ურთიერთგადამკვეთი წრეების დიაგრამა  
ენის ძირითადი დექსიკის სხვადასხვა რეგისტრებისთვის<sup>1</sup>: 1.  
ამაღლებული ხიხტეების დექსიკა (სენსი შემიხევეაში love-  
adore-worship, revere, venerate), რომელიც მადღა პიეტურ ტექს-  
ტებში გეხელება და ბუნებრივია, სელსიერად ამაღლებული  
ხახიათის მატარებელია; ხილთ 2.საშეალო დონე ნეიტრა-  
ლური შევერილობის დექსიკა (love-like, admire, be fond of,  
endear) და 3. დაბალი რეგისტრი კონკრეტული ფიხიკურ-  
მგრძნობელობითი ურთიერთობის გამოსახატავად (love-flirt,  
infatuate, stir, hug -დაბალი რეგისტრის კონტრაცეები). სქემა  
გარკვეული მიდიფიკაციებით გამოიყენეთ დადებითი ემო-  
ციების აღნიშნული ხემატიკური ველისთვის (1), ხადაც ძი-  
რითად ბირთულ კომპონენტს love-ს გაანნია, თავის მხრივ,  
იერარქიული ურთიერთობები ამ ველში შემაველ სხვა კომპო-  
ნენტებთან.

ანაღიშმა გამოავლინა იერარქიული ურთიერთობები სე-  
მით მიყვანილი ჯგუფებში: აბსტრაქტული, ეველასე მადალი  
დონე I love-adore, worship, venerate და ეველასე დაბალი, ფი-  
ხიკური შეგრძნებების დონესე II love-stir, infatuate, flirt და  
საშეალო დონე, უფრო ნეიტრალურ ჯგუფის ხახით love-like.

მოცემულ ნახატზე (1) წარმოადგენილი დიაგრამა გამოხა-  
ტავს ენის ხიხტემის სხვადასხვა პლასტებს: ხაღიტიერატურ-  
რის, ნეიტრალურს, ხაერთო ხახებრისა და არაღიტიერატურ-  
რულ დექსიკას (კარგონები, ეულგარიშმები, დიაღექტიშმები)  
სტიტიკურ პლანში, სენს შევერვადეთ მოცემული ი. გავლ-

<sup>1</sup> იხ. ირ. გავლერინის რედაქციით "Вальном Англо-Русский Словарь" (БАРС),  
მოსკოპი 1972, 17

პერინისეული დიაგრამა დინამიკაში წარმოგვედგინა, რათა გვეჩვენებინა სიტყვის მოძრაობა-განვითარება მიუღი მისი ისტორიის მანძილზე. ამისათვის მოვიშველიეთ ურთიერთ-გადამკვეთი წრეების მექანიზმი, რომელიც ასახავს სიტყვის ციკლურ მოძრაობა-განვითარებას პარადიგმატულ პლანში: მნიშვნელობების 'სოგჯერ' ამადლება-გაფართოებით და 'სოგჯერ' დაცემა-შევიწროებით. ხევის შემთხვევაში მოცემული სემანტიკური ველის მთავარი ბირთვია love ეველა თავისი ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტებით.\*

